სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-61 28.04.2021

ბრძანება

„სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლისთვის მისაღებ (შიდა) სპორტულ ტურში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრაციის ვადების ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს მთავრობის №175 (16.04.2021) დადგენილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის N01/745 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

შევიდეს ცვლილება სსიპ საქარველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 26 მარტის N01-47 ბრძანებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. მისაღებ (შიდა) სპორტულ ტურში მონაწილეობის მიღების მიზნით უნივერსიტეტში საბუთების მიღების ვადად განისაზღვროს 29 მარტიდან 28 მაისის ჩათვლით (კანონმდებლობით განსაზღვრული სამუშაო დღეები);
2. დაევალოს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურს კანონმდებლობის შესაბამისად ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის უზრუნველყოფა;
3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.sportuni.edu.ge გამოქვეყნება;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ჯემალ ძაგანია

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.edu.ge